სახალხო გაზეთი

№ 696 ოთხშაბათი, 12 სექტემბერი 1912 წ. **№ 696**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრძემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრძემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

იოსებ გიორგის ძე, გრიგოლ ალექსანდრეს ძე, მაკა — ტერეზია ჭუჭუ და **ტასია ბოლქვაძენი, ზურაბ** და **ელენე ნაკაიძენი** ულრმესი მწუხარებით აუწყებენ მეგობართ, ნაცნობთ და ნათესავთ პირველი დაუვიწყარი მეუღლის, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ძვირფასი რძლისა, მეშვიდე ძვირფასის ასული ს, ხოლო მერვე საყვარელის დის

კატო ზურაბის ასულის ბოლქვაძის

გარდაცვალებას რომლის დაკრძალვა მოხდება 13 სექტემბერს სამღთოის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. სოფ. სამღთოიში. (1—1)

ხუთშაბათს, 13 ენკენისთვეს, ქ. ტფილისში კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა ძვირფასის და დაუვიწყარის

ეკატერინე დიმიტრის ასულის ტურიაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო წირვის შემდეგ პანაშვიდი გადახდილი იქმნება საფლავზედ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი** და **მათი შვილები: ალექსანდრა ქრმით ლემანით; კონსტანტინე, ნიკოლოზი ცოლით, თამარი, მიხაილი, ივანე და ნადეჟდა.** (1—673—1)

ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში

1 ოქტომბრიდან იხსნება პირველი და მეორე კლასის პარალელური განყოფილება. თხოვნას იღებენ სასწავლებლის კანცელარიაში 20 სექტემბრამდის ყოველ დღე დილის 9 საათიდან თორმეტამდის. (1.672.1)

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის" კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრედვე კანტ. „იმერეთის" ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—8)

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

მომღერალ-მგალობელთა გუნდი",

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი **1 ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგებას იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ქრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

გაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.

(10.1449.8) **გუნდის გამგეობა.**

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოებები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.

სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.

სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.

სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.

ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.

თელავში—თამარ აბაშიძესთან.

ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.

ბაქოში—ილია აგლაძესთან.

ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.

ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

კლდე

კვირას, 16 ენკენისთვეს, გამოვა ყოველ კვირეული საზოგადო - ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია იმყოფება:

ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კლდე"

წლიური ფასი	5 მან.
ამა 1912 წლ. დამლევამდე . . .	1 „ ® 50 კ.
თვეში	— „ 50 კ.

(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. (5.1495.2)

სასტუმრო „უნივერსალი"

(ძველად „მუხრანის ნომრები") **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდი სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** (25.1481.4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დაბითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქარო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირბდოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკაია-ფირბდოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულხანოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დაბითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „**606**" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 2010.105)

ვკისრულობ

1. დაგირავებას და გამოგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში. 2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას. 3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას. 4. ყოველგვარ ბრძებას და პირობის ქაღალდის შედგენას. 5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.,** სახლი **მანთაშევისა,** სასტუმრო „უნივერსალი", № 2, ტელეფონი № 499. (25.659.4) **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე.**

ნაფიც ვექილის თანაშემწე

გიორგი თ. ქიქოძე

დაბრუნდა ტფილისს და იღებს სისხლის სამართლის და სხვაგვარ საქმეებს.

მისამართი: ტურგენევის ქუჩა, სახლი № 2. (3.669.1)

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მუზრაბიანცი

დაბრუნდა და კვლავ განაგრძობს ავადმყ. მიღებას. შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ. — ტუბერკულ. და გულისა. იღებს ყ.-დღ. დილის 9—12 ს. და საღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგ. ქ., № 10. ტელეფ. 7—92. (25.1497.1)

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ, ბლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 4, ხოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. დან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 379)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზმაძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოშნოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"-ით. (წლ—1018—75).

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—84)

ექიმი ი. ე. ჯაშის კაბინეთი

შინაგანი და დედ. ავადმყ., სადოსტაქრო ავადმყ. ამბულატორიით მიიღებს **15 სექტემბრიდან** -დილ. 8—11 საათ.; საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.6)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—44)

ექიმი ლ. ხოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.10)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.20)

ექიმი ჰ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.193).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ჰ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელიზაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ—10.49—139)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფ. პირდაპირ. (25—1178—908)

ქართული პრესა

როგორც მკითხველებს მოეხსენება, ქუთაისში შესდგა ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი, რომელიც თავის თავს ქუთაისის საზოგადოების „მოწინავე ელემენტად" სთვლის და რომელმაც თავის პროგრესისტობის გამოსაჩენად, მართლაც რომ, „ღირსეული კანდიდატი", თ. ვლ. მიქელაძე მონახა. გაზეთი „კოლხიდა" 143 ნომერში მშვენიერად ახასიათებს ამ „უმწიკვლო მოღვაწეთა" ჯგუფს და მათს ლაზიერს თ. ვლ. მიქელაძეს:

„უპირველესად უნდა ვიცოდეთ, თუ რა პროგრამით უნდათ ამ „მოღვაწეებს" წარსდგნენ სათათბიროში. მათ პროგრამაში ყველაფერი შეიძლება იგულისხმოთ, მაგრამ იმისთანა, რაც—მათი ნაცნობის თუ უცნობის—უფროსი მოხელეების თვალში მათ „ბრწყინვალებას" ჩირქს არ მოსცხებს, უკედ ვსთქვათ—რაც უფროსებს იამებათ, ან არ ეწყინებათ მაინც. მათი გემი მხოლოდ იქითკენ მისცურავს, საითაც ქარი უბერავს, საითკენაც იალქნები იბერება და გემს ადვილად მიაქანებს. ისინი უფროსებს თვალებში შესცქერიან, და თუ მათი ნათქვამის—უფრო კი მოწიწებით ნათხოვარის—გამო ერთი ნამცეცი წყენა შეატყვეს, იმ წამსვე ბოდიშს იხდიან და შეცოდების პატიებას ემუდარებიან.

რამდენჯერ უნახავთ, მკითხველო, ამ ჯგუფის შემდგენელთა ერთი მოთავეთაგანი ეს „უმწიკვლო მოღვაწე", გაფითრებული და აკახკახებული იმის გამო, რომ ვიღაც უფროსი მოხელე მას შემოსწყრა! რამდენჯერ უნახავთ იგი უფროსის კარებთან მისული, ბოდიშის მოსახდელად, რათა მისი გამწყრალი გული მოელბო, თუმცა მოხელის წყრომა სრულიად უსაფუძვლო და უკანონო ყოფილა!..

და ამგვარი საქციელი დამახასიათებელია ყველასი, ვინც ამ „ცნობილი მოღვაწის" ფრთეთა ქვეშ შემოკრბნენ, და იმ კანდიდატისაც, რომელიც მათ ერთხმად დაასახელეს!.. ეს გახლავთ მათი საერთო „პოლიტიკური რწმენა"!"

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამგვარს მათ პოლიტიკას სხვა სარჩულიც აქვს, ეს არის „ძარღვი საკუთარი სიამ-ტკბილობისა და ჯიბის ინტერესებისა", რათა გულუბრყვილო საზოგადოების შემწეობით რომელიმე თბილი ადგილი ხელთ იგდოს:

„და, აი, თავ. ვლადიმერ მიქელაძესაც განუზრახავს თბილი ადგილის ხელთ გდება—და სწადიან მომკას იქ, საცა მას არც უხნავს და არც უთესია: სწადიან—იკისროს მესვეურობა იმ საქმისა საერო საქმეებისა,—რომლისთვისაც მას არასოდეს სერიოზულად გული არ სტკენია და რომლისთვისაც განსაზღვრული პროგრამა არაოდეს არ გაუთვალისწინებია!..

თავ. ვლადიმერ მიქელაძის მიერ ახლა, არჩევნების წინა დღით, რაღაც ეროვნულ პროგრამაზე ლაპარაკი იმავე ხასიათისა გახლავთ, როგორისაც დასელთა მიერ ამავე მომენტში ვითომდა ეროვნული პროგრამის მიღება და გამომზეურება: ერთსაცა და მეორესაც მხოლოდ არჩევნის მადა აოძრავებს და ალაპარაკებს, და არა ჩვენი ერის მომავალ ბედნიერების წადილი და მის მომავალ ბედზე ზრუნვა..."

და რადგანაც ხსენებულ ჯგუფს, ზემოდ დასახელებულ მამოძრავებელ ძარღვს გარდა კიტა აბაშიძი-

სადმი პირადი მტრული განწყობილებაც ამოქმედებს, ამიტომ გაზეთი პირისპირ აყენებს ორივე კანდიდატს, რათა ამით ნათლად გამოაჩინოს „უმწიკვლო მოღვაწეთა“ ჯგუფის კანდიდატის უიერო სახე:

„ეს წერილი უკვე მოთავებული იყო, როცა ხელთ ჩაგვივარდა ბ. ვლადიმერ მიქელაძის წიგნაკი: „ვინა ხარ შენ“? ამ წიგნაკში ავტორი თავის მოღვაწეობას მოგვითხრობს, თუ სად უმსახურია, რა საზოგადოების წევრად ყოფილა და ვისთვის რა უთქვამს. იგი, მართალია, სხვა და სხვა საზოგადოების წევრად ყოფილა—და ეს ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის, დღემდისაც ვიცოდით,—ხოლო იმაზე კი სდუმს, თუ რა გაუკეთებია. ჩვენ მისი „ფორმულიარი“ რაფ. ერისთავის ერთ პიესას მოგვაგონებს, რომლის მოქმედი პირიც ათიოდე „ობჩესტვოს“ ასახელებს, სადაც ის „ჩლენად“ ყოფილა: მე ამ ობჩესტვოს ჩლენი ვარ, იმ ობჩესტვოშიც ჩლენათ ვარ. კიდევ ამა და ამ ობჩესტვოშიც—და სხვ. და სხვ., მაგრამ მისი „ჩლენობა“ არსად და არავისთვის საგულისხმო არ ყოფილა... რაც შეეხება სხვა და სხვა შემთხვევაში ბ. ვლ. მიქელაძის მიერ ნათქვამ „სიტყვებს“, უნდა მოვახსენოთ, რომ „სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაა“;—და ან რა იმისთანა „სიტყვებია“, რომ ფორმულიარში შესატანად ღირდეს?!

ბ. ვლადიმერ მიქელაძის წიგნაკში ჩვენთვის მხოლოდ ის პროგრამაა საგულისხმო, რომელიც მას წარმოუდგენია მომავალ სათათბიროს დეპუტატის სახელმძღვანელოდ. ჩვენმა დეპუტატმა უნდა მოითხოვოსო, ამბობს იგი: 1) სრული ერობა, 2) უნივერსიტეტი, 3) ჩვენში ბატონყმობის ძველი ნაშთისა და კვალის მოსპობა, 4) „დაცულ იქმნას ჩვენი სამშობლო ენა, ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ეკლესია, მოგვენიჭოს ისეთი წესწყობილება, რომ ხალხის ცხოვრება მშვიდობიან გზას დაადგეს, მისი შრომა ნაყოფიერი იქნეს, მისი უფლებანი გაფართოებულ და გამაგრებულ იქმნესო“... (ღმერთო, რამდენი ცარიელი, ოოკოფული სიტყვაა, რომლის შინაარსსაც, ვისაც როგორც მოეპრიანება, ისე განმარტავს!).

აი, სულ ეს ყოფილა ჩვენი სადეპუტატო კაცის პროგრამა და ჩვენი ხალხის იდეალი!.. ამ სახით, საქართველო თურმე არაფრით გაირჩევა რუსეთის რომელიმე გუბერნიისაგან, სადაც რუსული ერობაა შემოღებული და რუსული უნივერსიტეტი არსებობს!..

ახალი ამბავი

ტფილისი

-:- **უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში.** ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა საბჭოს უმცირესობის აზრი, რომლითაც ტფილისში პოლიტეხნიკუმი უნდა დაარსდეს. პოლიტეხნიკუმის შესანახი ყოველ წლიური ხარჯი—300,000 მან. და მოწყობა საერობო თანხიდან დაიფარება. შეწირული ფულით კი, რომელიც 2,200,000 მან. უდრის, პოლიტეხნიკუმის შენობა უნდა იქმნეს აგებული. პოლიტეხნიკუმი დაექვემდებარება სახალხო განათლების სამინისტროს. კავკასიის ნამესტნიკმა გადასწყვიტა, მოკლე ხანში პეტერბურგსა, კიევსა და რიგაში გაჰგზავნოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი, რომელიც იქაურ პოლიტეხნიკუმებს დაწვრილებით შეისწავლის და ტფილისში დაბრუნების შემდეგ ტფ. პოლიტეხნიკუმის ხარჯთ-აღრიცხვას შეადგენს. ამ ჟამად საჭიროა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლისთვის აღთქმულ ფულის განაღდება, რომლის შემდეგაც ნამესტნიკი ნებას დართავს, პოლიტეხნიკუმის შენობის აგებას შეუდგნენ.

◆ **სათათბიროს არჩევნების გარშემო.** როგორც მკითხველებმა იციან, სამაზრო საარჩევნო კომისიამ ცნობილი მემარჯვენე ვ. ვ. კაზარინოვი, რომელსაც სათათბიროს დეპუტატობა ჰსურს, საარჩევნო სიიდან ამოშალა, რადგანაც მისი ცენზი (ბინისა) უკანონოდ იცნო. კაზარინოვმა საჩივარი შეიტანა საგუბერნიო კომისიაში, რომელმაც საქმე დაწვრილებით გამოიძია და კაზარინოვის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

◆ **ნ. ფ. რუდოლფი,** კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი, ბაქოს გუბერნიასა და დაღესტნის ოლქში გაემგზავრა იქაურ სასწავლებლების დასათვალიერებლად.

◆ **ახალი ხმოსანი.** რადგანაც ნ. მ. ყარა-მურზამ, რომელმაც ქალაქის თვითმმართველობაში ალაგი იშოვა, ხმოსნობას თავი დაანება, ამიტომ მისი ალაგი 10 სექტემბრიდან პირველმა კანდიდატმა ნაფიცის ვექილის თანაშემწე **შ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა** დაიჭირა.

◆ **შემწეობა.** ქალაქის საბჭომ 100 მან. გადასდო ტფ. მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების საბავშვო ბიბლიოთეკის საჭიროებათათვის.

◆ **წესიერი დასვენება.** რადგანაც წესიერ დასვენების ახალი სავალდებულო დადგენილებათა გადასინჯვის საკითხი ბევრს აინტერესებს, ამიტომ ეს საკითხი საბჭოს 17 სექტემბრის კრების განსახილველ საგანთა სიაში პირველად იქნება შეტანილი. ჰფიქრობენ, რომ ამ წესების გადასინჯვა-შეცვლას ორი-სამი კრება მოუნდება.

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ:** 8 სექტემბერს—თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი და 10 სექტემბერს—კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი და გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნ. ა. თუმანიშვილი.

◆ **ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი** მოკლე ხანში საცხოვრებლად ტფილისიდან ბაქოში გადადის.

◆ **ექ. გ. ნ. სტეფანოვი,** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი, ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის პროექტი** ქალაქის საბჭოს განსახილველად წარედგინება 17 სექტემბრის კრებაზე.

◆ **თავის მოკვლა.** 10 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, თავის ბინაზე (მახათას ქუჩა, 4) კარბოლის სიმჟავე დალია ანნა ოჰანესას ასულმა აფრიამოვმა. თავის მოკვლის მიზეზი ის იყო, რომ ერთის თვის წინად 17 წლის ვაჟიშვილი მოუკვდა.

◆ **თავის მოკვლის განზრახვით** 10 სექტემბერს ნიშადურის სპირტი დალია არწრუნის ქუჩაზე მცხოვრებმა მარიამ თევდორეს ასულმა შეტვერიკოვმა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი.** წარსულ აგვისტოს განმავლობაში ტფილისში 115 ბოროტ-მოქმედება მომხდარა. ბოროტ-მოქმედების ადგილას შეუპყრიათ 116 კაცი, ექვით კი 20.

◆ აგრონომი **ალექსანდრე ქალანთარი** 11 სექტემბერს მოსკოვს გაემგზავრა, სადაც ენკენისთვის 20 და 23-ს მოხდება მეცხვარეობისა, საგრილებელთა მოწყობის კრება და მეცხვარეობის გამოფენა. ბ. ქალანთარი წაიკითხავს მოხსენებას კავკასიის მეცხვარეობის საჭიროებათა შესახებ. კავკასიიდან ამ გამოფენაზე გაიგზავნა 15 ჯიშის ცხვარი და თხა, რიცხვით 90-მდე. ამ კრებაზე დასასწრებლად ტფილისის ქართულ სამეურნეო საზოგადოების მხრივ მოსკოვს გაემგზავრა ბეითალი **შ. დედაბრიშვილის,** რომელიც წაიკითხავს მოხსენებას თუშეთის მეცხვარეობის შესახებ. ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ გამოფენაზე გაჰგზავნა 4 ცხვარი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მებაღეთა კრება,** რომელიც დანიშნული იყო 25 სექტემბრისთვის, მოწვეულ იქნება ტფილისში 1 ნოემბერს და გასტანს 5 ნოემბრამდე.

სასწავლებლებში.

◆ **ტფილისის საეპარქიო დედა სასწავლებელში** იხსნება პირველი და მეორე კლასის პარალელური განყოფილებანი. აღნიშნულ განყოფილებებში მიიღებენ როგორც სასულიერო, ისე ერის კაცთა ქალებს: პირველს კლასში არა უმეტეს 13 წლისას, მეორეში—14-სას. სწავლის ფული ერის კაცთათვის წელიწადში 5 თუმანი. თხოვნას იღებენ სასწავლებლის კანცელარიაში (ანდრეევის ქუჩა № 42) 20 სექტემბრამდე, ყოველ დღე დილის 9 საათიდან თორმეტამდე.

სასამართლო

◆ **მილიონერ ტაგიევისა** და სხვათა საქმეს ტფ. სამოსამართლო პალატა 21 სექტემბერს გაარჩევს.

სომეხთა ცხოვრება

◆ გაზ. „მშაკის“ 40 წლის იუბილეის აღსანიშნავად საიუბილეო კომიტეტმა გამოსცა ორი დიდი წიგნი. ერთი მათგანი წარმოადგენს „მშაკის“ არსებობას 40 წლის მოკლე ისტორიას, სურათებით და ყველა თანამშრომელთა სახელებით, ხოლო მეორე შეიცავს ყველა იმ წერილებს, რომელნიც დასტამბულნი ყოფილა „მშაკში“ 40 წლის განმავლობაში საერთოდ ქალთა საკითხისა და კერძოდ სომეხ ქალთა მდგომარეობის შესახებ.

ეს წიგნები იყიდება „მშაკის“ ფონდის სასარგებლოდ, რომელიც უკვე 30,000 მანეთს უდრის.

◆ კვირას, 9 ენკენისთვეს, ტფილისში უეცრად გარდაიცვალა სომეხ-გრიგორიანთა კონსისტორიის მოხელე და საზოგადო მოღვაწე მინას პარსამიანი.

ქუთაისი.

◆ **არჩევნების დანიშვნა.** „საგუბერნიო უწყებებში“ (№ 37) გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ვიცე გუბერნატორი მაკაროვი აცხადებს თუ სად როდის რა კატეგორიის ამომრჩეველთა არჩევნებია დანიშნული: გლეხთა რწმუნებულების არჩევნები (ორ-ორი კაცი თითო საზოგადოებიდან) დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებში 14 სექტემბერს; წვრილი მემამულეების კრებები მოხდება: 1) ქუთაისის მაზრაში—ქალაქ ქუთაისში—16 სექტემბერს და ბაღდადში—19 სექტემბერს: 2) შორაპნის მაზრაში ყვირილაში და ჩხარში 16 სექტემბერს, ბელოგორში და საჩხერეში 19 სექტემბერს; 3) სენაკის მაზრაში—ახალ-სენაკში 16 სექტემბერს, ნოქალაქევში 19 სექტემბერს: 4) გურიაში ქ. ოზურგეთში— 16 სექტემბერს, ხოლო ლანჩხუთში და ჩოხატაურში 19 სექტემბერს. სამ დანარჩენ მაზრებში: ზუგდიდის, რაჭისა და ლეჩხუმისაში დანიშნულია 16 სექტემბერს; კრებები მოხდება დაბებში: ზუგდიდში, ონში და ცაგერში, ქალაქებში: ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთში და ზუგდიდში ქალაქის არჩევნები მოხდება 28 სექტემბერს. ამავე დღეს მოხდება ყველა მაზრებში მემამულეებისა და გლეხ ამომრჩეველთა არჩევნები. რუსთა კურიის არჩევნები ქ. ქ. ფოთში და ქუთაისში დანიშნულია 30 სექტემბერს.

◆ **დამატებითი სია.** ქ. ქუთაისის დამატებითი საარჩევნო სიაში საარჩევნო კომისიამ შეიტანა მხოლოდ სამი პირი. ესენია: კემულარია იონა გრიგოლის-ძე, ჩაფჩიძე ალექსანდრე ივანეს-ძე და კუტაიძე ბიქტორ ლევანის-ძე

◆ ზემო იმერეთს სამხრეთით მდებარე საძოვარ მინდვრებში **მწყესები დაძარცვეს.** იქვე მეგრელ მეჯოგეებზე იყო მიტანილი. ამ საქმის გამო ხსენებულ საძოვარ მინდვრებში გაემგზავრა ხარაგაულის ბოქაულის თანაშეწე მ. ქ. სვანიძე. თან ახლდა ამას წინად დაჭერილი პაპავა. მათ გურიის მთებისაკენ შეიპყრეს იაკობ კვარაცხელია, რომელსაც, როგორც გადმოგვცეს, აღმოაჩნდა მწყემსებისგან გატაცებული ნივთები და ცხენი ქართველი მეცხვარისა. კვარაცხელიას, შეკითხვაზე თუ სადაა სხვა ამხანაგები, უთქვამს, რომ ისინი საყაჩაღოდ არიან წასულიო. ის წარადგინეს ყვირილაში შორაპნის მაზრის უფროსთან და უჩვენეს მწყემსს რ. ბ—ძეს, რომელმაც იცნო კვარაცხელია. საქმე წარმოებაშია...

◆ ქუთაისის სამაზრო სამმართველოსაგან მოწერილობები დაურიგდა ხონის საბოქაულოს ყველა საზოგადოებების მამასახლისებს, რითაც ატყობინებენ, რომ სოფლის საზოგადოებების რწმუნებულთა არჩევნები ყველგან 14 სექტემბერს მოახდინონ.

◆ **არჩევნები.** 8 და 9 სექტემბერს მოხდა სოფლის ყრილობები ათის თავების ასარჩევად თითქმის ყველგან ქუთაისის გუბერნიაში. სხვათა შორის აურჩევიათ მაღლაკის საზოგადოებაში 87 კ. ხონში 113, ნახახულევში 104, კაცხის საზოგადოებაში (ზემო იმერეთი) 100, ეწერისაში 62.

ბათომი.

◆ ბათომში 14 ენკენისთვიდან გამოვა **ახალი გაზეთი** ალმანახი **„სათეატრო ფურცელი“** ივ. გძელიძის რედაქტორობით. გაზეთი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს ჩვენი სამშობლო თეატრის და ხელოვნების საქმეს და, აგრეთვე საზღვარ გარეთისა და რუსეთის სათეატრო ახალ ამბებს. მოთავსებული იქნება წერილები თეატრის შესახებ და ახალი დრამატიული ნაწარმოებები, როგორც ჩვენი მწერლებისა, ისევე უცხოელისა და რუსის ავტორებისა.

სოფლად

◆ **ხევსურეთი.** ამ დღეებში ს. მაღაროსკარში შატილში მცხოვრებ ხევსურებს, რიცხვით 9 კაცს, ჩხუბი მოუვიდათ გუროში მცხოვრებელ ხევსურებთან. ჩხუბის დროს მსუბუქად დაიჭრა 6, მძიმედ—2.

ქართული დრამატიული კურსები.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ენერგიულად შეუდგა კურსების მოწყობის საქმეს. 10 ენკენისთვეს გამგეობამ გამართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ტფილისის გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თ-დი ვ. ი. თუმანიშვილი, ქართული გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი ალ. ბ. მდივანი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, პრესის წარმომადგენელნი და გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ნიკ. გიორგის ძე ქართველიშვილმა გააცნო საქმის ვითარება დამსწრეთ, და მერე შეუდგნენ გამგეობის მიერ შემუშავებულ კურსების წესდების განხილვას.

დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რანაირის ცენზით უნდა მიიღონ მსმენელები კურსებზე. გამოირკვა ორი უმთავრესი აზრი. პირველთა შეხედულობით აუცილებლად უნდა დაწესდეს მინიმუმი სამოსწავლო ცენზისა კურსებზე შესასვლელად. ასეთ ცენზად მიაჩნდათ პროგიმნაზიული განათლება, ან მოწმობა, მიღებული ისეთის სასწავლებლიდან, რომელთა პროგრამაც დაახლოვებით უდრის პროგიმნაზიის კურსს. ამათგან, სპეციალურ გამოცდის შემდეგ, კურსებზე მიიღებიან მხოლოდ ისეთნი, რომელთაც სცენისათვის საჭირო თვისებანი აღმოაჩნდებათ. მეორე წინადადება იყო თ-დ ვ. ი. თუმანიშვილისა. მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ კურსებზე მიღებულ იქმნას ყველა მსურველი, მიუხედავად იმისა, ექნება რაიმე ცენზი თუ არა. ერთი თვის მეცადინეობის შემდეგ მსმენელებმა უნდა გაიარონ გამოცდა, თანახმად იმ პროგრამისა, რომელსაც თვით დირექცია შეიმუშავებს. გამოცდის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ქართულს ენასა და ისტორიას, რუსულ ენასა და საზოგადო ისტორიას. მსმენელებმა უნდა იცოდნენ აგრეთვე გერმანული და ფრანგული ენა და წერა. ამისთანა გამოცდის შემდეგ მსმენელები ჩაირიცხებიან კურსებში.

ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქმნა წინადადება თავ. ვ. ი. თუმანიშვილისა.

ამის შემდეგ აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს გამოსაცდელი პროგრამა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევს, 14 ენკენისთვეს.

არჩევნების გარშემო.

ტფილისის რუსის ნაციონალისტები.

რუსის ნაციონალისტების პარტიის საარჩევნო კომიტეტმა გამოსცა მოწოდება და დაურიგა ამომრჩევლებს. ამ მოწოდებაში აღნუსხულია პოლიტიკური მრწამსი ახლად დაბადებულ პარტიისა და მისი მოთხოვნილებანი, რომელთაც უდგენს ხსენებული პარტია მომავალ დეპუტატს. მოგვყავს მოწოდებიდან ზოგიერთი საყურადღებო ადგილები.

რუსების მიერ არჩეულმა დეპუტატმა მეოთხე სათათბიროში ნაციონალისტთა „პარტიის“ აზრით, შემდეგი პოლიტიკა უნდა აწარმოვოს.

1) განმტკიცება რუსეთში იმ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებისა, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ ძირითად კანონებშია აღბეჭდილი. დაცვა იმპერიის მთლიანობისა და განუყოფელობისა: არავითარი პოლიტიკური ავტონომიები;

2) გაძლიერება იმპერიის სამხედრო ძალებისა;

3) დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მართლ-მადიდებელ ეკლესიის საჭიროებებს. უნდა განხორციელდეს საეკლესიო კრება და განვითარდეს მრევლი;

4) თავისუფლება სარწმუნოებისა;

5) ენათა თავისუფლება, იმ აუცილებელ პირობით კი, რომ ყველა სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებებსა და სკოლაში იხმარებოდეს სახელმწიფო ენა;

6) სწორ-უფლებიანობა იმ ერებისა, რომელთა მოქმედებაც საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეთანხმება.

7) ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პატრიოტული განვითარება სკოლისა.

8) ფართო გაუმჯობესება გლეხთა მიწათ-მფლობელობისა. რუსების გადმოსახლება თავისუფალ სახაზინო მიწებზე;

9) საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა: უფლება უნდა მიეცეთ ბინის დამქირავებელთ და ამასთანავე უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს რუსების ინტერესები. თუ ამიერ-კავკასიაში ერობას შემოიღებენ, იქაც რუსების უფლებები დაცულ უნდა იყოს.

ასეთია ტფილისის რუს ნაციონალისტთა პროგრამა.

შინა მრეწველობის გამოკვლევა.

ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების მრავალი მხარე და მოვლენა გაუნათებელ-გამოურკვეველია. ავიღოთ მაგალითად კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში. საზოგადოდ, როგორც სამეურნეო შრომის ერთი ფორმა კაპიტალისტური წარმოება მწარმოებელ და საწარმოვო პირობათა განვითარებით ფეხს იკიდებს ადგილობრივ ცხოვრების ნიადაგზე და ასე ბუნებრივის გზით ვითარდება. მაგრამ დღეს—კაპიტალიზმის განვითარება უცხო ქვეყნებში გავლენას ახდენს ჩვენს სამეურნო და სამრეწველო განვითარებაზეც და ამ უკანასკნელს ხელოვნურად აჩქარებს. ეს მხარე მოვლენისა—უცხოეთის კაპიტალის ზედ-გავლენით ჩვენი ეკონომიის განვითარება ჩვენში —ასე თუ ისე გამორკვეულია. მის შესახებ რამდენიმე წერილი დასტამბულა. რაც შეეხება თვით ჩვენს ცხოვრებაში არსებულ წესებს მეურნეობისა და მრეწველობისას, ჩვენს **შინა მრეწველობას,** მის წარსულსა და აწმყოზე, მის თანამედროვე მდგომარეობაზე—აი ამ მართლა რთულ და მეტად საინტერესო საკითხზე არავის არაფერი უთქვამს, ამ საგანზე არავითარი მასალა არ მოიპოვება, გარდა მცირეოდენ ცნობებისა, რომელიც უკვე არხაულ ტიხეევის „მასალებში“ მოიპოვება.

ეს საკითხი კი საზოგადოების მეტ ყურადღებას მოითხოვს, მისი გამოკვლევით ჩვენ დავინახავთ თუ რა გამანადგურებელი გავლენა მოუხდენია უცხოეთის კაპიტალს შინა მრეწველობის მდგომარეობაზე ჩვენში და რა ფორმებსაც ის ამყარებს ჩვენში.

სასიხარულოდ, ამ უკანასკნელ ხანში ეკონომიურ მოვლენისადმი საზოგადოების ყურადღება გაიზარდა. თვით მთავრობის მაღალ სფერებში დარწმუნდნენ, რომ ცხოვრების ახალ პირობებთან შესაგუებლად და მის მოთხოვნილებათა ალღოს ასართმევად აუცილებლად საჭიროა პირველ ყოვლისა გაცნობა თვით ცხოვრების ამ დარგებისა და შემდეგ სათანადო ზომების მიღება.

კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციაც იზიარებს ამ აზრსა. ჩვენში უკვე დაარსდა კომიტეტი სენატორ ვატაცის თავმჯდომარეობით, რომელიც ხელს უწყობს და მფარველობს შინა მრეწველობის განვითარებას. სტატისტიკური დაწესებულებანიც ცდილობენ გაიგონ რამე ამ მოვლენის შესახებ. მაგრამ, როგორც ეს უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობათა კრებულშია აღიარებული (გამოცემა საიმპ. სასოფლო-სამ. საზოგად.) ცხოვრების ეს მოვლენა იმდენად გაუგებარი და უცხოა თვით **თანამშრომელთათვის,** რომ ისინი ვერავითარ ცნობას ვერ აწვდიან მთავრობას და რომელნიც აწვდიან ისეთს უვარგისსა, რომ მისი გამოყენება თითქმის შეუძლებელია.

ახლა კი, აღნიშნულ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს თვითონვე მოახდინოს საგანგებო გამოკვლევა ეკონომიურ ცხოვრების ამ დარგის უფრო მოწინავე და ცხოვრებასთან დაახლოვებულ პირთა დახმარებით. მთავრობა ნივთიერ საშუალებასაც არა ჰზოგავს ამ საქმისათვის. ეს ფრიად საგულისხმიერო მოვლენაა და ყველასათვის საინტერესოა გაგება იმის, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად ამ საგანზე მთელი კოლეგიის მოღვაწეობა.

როგორც ვიცით, შეკრებილ მასალების საერთო რედაქცია მიუნდვიათ ბ. პეტრე გელეიშვილისათვის. ამიტომ, პირველყოვლისა ვინახულეთ ბ. გელეიშვილი და ხსენებულ საგანზე ვებაასეთ. ფრიად საინტერესო ცნობებით გაგვიმასპინძლდა ბ. გელეიშვილი. თვითონ გელეიშვილს დაუვლია და შინა მრეწველობის მხრივ გამოუკვლევია დუშეთის მაზრა და მისი „მკვდარი“ სოფლები. მრავალი კონკრეტული საბუთები მოგვიყვანა და გვიამბო ბ. გელეიშვილმა დუშეთის მაზრაში ქართველ-სომეხთა ეკონომიურ ურთი-ერთობაზედაც და იმ ყოვლად შეუწყნარებელ უანგარიშობასა და მფლანგველობაზე, რომლითაც ერთბაშად ხელში უვარდებიან ქართველები სომხის ფულიან ხალხსა.

შინა მრეწველობიდან ბ. გელეიშვილს შეუკრებია ნიმუშები და შეუდგენია საინტერესო კოლექცია.

თეთრად მუშაობა მოკრებილ მასალებზე დაწყებულად შეიძლება ჩაითვალოს. გამორკვეულია აგრეთვე, რომ ბევრ თანამშრომელთ მათზე დამყარებული იმედები ვერ გაუმართლებიათ *) და მათს მასალებზე დამყარებაც ხშირად საძნელო გამხდარა. დილეტანტიზმს აქაც უჩენია თავი და მით ბ. გელეიშვილს შრომა გასძნელებია და უვარგისი მასალების ხელახლა შეკრება—გადასამუშავებლად ბევრი ენერგია დაუხარჯავს.

თვით საკითხით იმდენად დაინტერესებულა ბ. გელეიშვილი, რომ ის ჯერ ოცნებობს ამ საკითხის ფართე დაყენებაზე და ჩვენში შინა მრეწველობის გამოკვლევა უფრო დაწვრილებით ჰსურს შეასრულოს. ახლა კი მთავრობა უფრო დაინტერესებულია მშრალ მასალებით.

— ნაკლები სიტყვები, მეტი ცნობები—აი რა გზაზე ადგია, თურმე მთავრობის წრეები. რა თქმა უნდა მთავრობის განზრახვის ეს მხარე დიდი დეფექტია. შეუძლებელია მხოლოდ ციფრებმა გაარკვიოს საგანი. სტატისტიკურ ცნობებს მხოლოდ მაშინ აქვს სათანადო მნიშვნელობა, როდესაც ის მტკიცედ გარკვეულ ცხოვრებაზე შეხედულების და ცხოვრების ნამდვილ ტენდენციის შესაფერად ანათებს მათ საქმეს. ამიტომ ეს კოლეგია, რომელიც ამ საკითხს იკვლევს და იმუშავებს დღეს მთავრობის ვიწრო მიზნებით არ უნდა დაკმაყოფილდეს და შეგროვილი მასალა,—თუ მთავრობის ხარჯით არა, კერძოდ მაინც უნდა გამოაქვეყნონ სათანადოდ გადამუშავებული.

ბ. გელეიშვილს ჰსურს ეს შემთხვევა სათანადოდ გამოიყენოს. ცნობებს გამოკვლევითი ხასიათი მისცეს და შრომა მონოგრაფიის სახით გამოაქვეყნოს მაზრების მიხედვით. ეს ფრიად საინტერესო განზრახვაა, საჭიროა მხოლოდ ეს საკითხი ისტორიულ თვალსაზრისით იქმნას განხილული და მეტად მცირე ადგილი ჰქონდეს დათმობილი მშრალ დოგმატიკას. ისტორიული თვალსაზრისი კი იმიტომაა აუცილებლად საჭირო, რომ საკითხი გამოირკვევა ფართედ, შევიტყობთ რა მდგომარეობაში იყო შინა მრეწველობა წარსულში, რა მოძრაობას განიცდის, რა მდგომარეობაშია, რაა მიზეზი რომ შინა მრეწველობა—ეს ფრიად დიდი სახსარი, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა—აგრე დაეცა და უკანასკნელ ყოფაშია.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი წინადადება შინა მრეწველობაზე, ამ საქმეზე მომუშავე კოლეგიის მიერ არ იქნება ყრუდ მიგდებული და საზოგადო საქმის სასარგებლოდ ფართედ გამოიყენებენ ფრიად საჭირო ისტორიულ თვალსაზრისსაც.

თევდ. ღლონტი.

ყაჩაღ ჩილინდრიშვილის მოკვლა

ყაჩაღი ჩილინდრიშვილი, როგორც გადმოგვცემენ, ამნაირად მოუკლავთ. ჩილინდრიშვილი ყოფილა სოფ. წილკანში, გოგიჩაშვილის სახლში, სადაც ივილაშურსა, ზაკანაძესა, თოფრაკაშვილსა დ ცხოვრებაშვილთან ჰქეიფობდა. მცხეთის საპოლიციო ნაწილის ბოქაულს რომ ეს გაუგია, ოცი კაცით მისულა სახლთან, წინადადება მიუცია, დამნებდითო და სხვებისათვის კი უთქვამს, უბედურების თავიდან ასაცილებლად, გამოდითო. სახლიდან სროლით უპასუხნიათ. მაშინ საერობო დარაჯებსაც სროლა აუტეხიათ. ათი წუთის შემდეგ კარები გაღებულა და იქიდან გამოვარდნილა ჩილინდრიშვილი ერთს ხელში ყარაბინა სჭერია, მეორეში მაუზერი. ჩილინდრიშვილს აუტეხია სროლა, გაქცეულა ბაღისაკენ, მაგრამ გზაში მოუკლავთ. მოკლულს აღმოაჩნდა ჯვარედინად გადაკიდებული ორი პატრონტაში, ისეთივე პატრონტაში წელზე, 172 პატრონით, მეოთხე პატრონტაში, 30 პატრონით, მხარზე ჰქონია გადაკიდებული. ამას გარდა, ზედა ჰქონია ჰანიშვილის სახელობაზე დაწერილი პას-

---

*) თანამშრომელთა აყვანაში დიდი სიფრთხილეა საჭირო და რაც შეიძლება მეტი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ რაც შეიძლება ამ საქმის მცოდნეებისათვის მოეყარათ თავი. სამწუხაროდ ეს ვერ შეუსრულებიათ სათანადოდ და ამიტომ სათანადო ზიანიც მოუტანია მთაურის შრომისათვის.

ვკტ.

პორტი, წერილი, რომლითაც ახოსაძეს 100 მანეთსა სთხოვდა, კერძო ხასიათის წერილი „გიორგით“ ქვეშ მოწერილი, უბის წიგნი, აბრეშუმის ცხვირსახოცი, კარანდაში და ხუთი ორ-შაურიანი.

სასამართლო

დიდი თაღლითობა.

ტფილისის საოლქო სასამართლოს მეორე განყოფილებაში, 10 სექტემბერს გაარჩიეს თ-დ დავით გიორგის ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისა და მდაბიო მოქალაქეთა ი. მარკოზოვისა და კ. კუბერცკის საქმე. ბრალსა სდებდნენ 1671 მუხლის 13,1666, 2, 3 და 4 პუნქტის ძალითა.

დანაშაულის მსხვერპლად გამხდარან გადმოსახლებული რუსები, რომელნიც მოსახერხებელ ადგილს ეძებდნენ დასასახლებლად.

1910 წელს, ლენქორანის მაზრის დაბა ასტარას მცხოვრებლები ი. ხოლოდოვი, ს. პილენკო, ფ. გრიგორენკო და სხვ. წასულან მიწის დასათვალიერებლად და სასყიდლად საქართველოს ერთ ერთ ადგილისა. მოგზაურობის დროს შეხვედრიან ვიღაც კუბერცკის, რომელსაც უთქვამს, მიწის ყიდვა თუ გინდათ, ჩემთან მოდით ტფილისშიო და ადრესი მიუცია. ასტარას რომ დაბრუნებულან მოგზაურნი, კუბერცკი მოჰგონებიათ და ტფილისს ჩამოსულან.

ტფილისში კუბერცკის გაუცვნია მათთვის ვიღაც ი. მარკოზოვი, დაუთვალიერებიათ ისარლოვის მამული, მაგრამ არ მოსწონებიათ.

ცოტა ხნის შემდეგ მარკოზოვს უთქვამს, ერთი მამული არის, თ-დ დ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, სახელად „ცედანი“, თუ გინდათ იყიდეთო. ეს მამული სურამის ახლო არისო.

მარკოზოვს და კუბერცკის მეორე დღესვე გაუცვნიათ მამულის ყიდვის მსურველნი თ-დ მუხრანსკისათვის და მამულის დასათვალიერებლადაც წასულან. თ-დ მუხრანსკის ბანკის მამულის მოურავის ლ. მურვანიშვილისათვის უთხოვნია, ბანკის მამული გვიჩვენეთო. მურვანიშვილი დათანხმებულა. ორი ფაიტონით წასულან და დაუთვალიერებიათ მდ. სურამულის ხეობა. მყიდველებს მოსწონებიათ „ურთხვას“ მიდამო. მუხრანსკის უთქვამს, „ცედანი“ სწორედ ეგ არისო, თუმცა „ცედანი“ იქიდან 6—7 ვერსის მანძილზე ყოფილა. 28 აგვისტოს ნოტარიუს მღებრიშვილთან პირობა დაუწერინებიათ, რის ძალითაც რუსები მუხრანსკისაგან მამულს ყიდულობდნენ 24 ათას 745 მანათად. თ-დს მამულის მფლობელობის საბუთი არა წარუდგენია-რა და მყიდველებსაც, ხათრით, არაფერი მოუთხოვნიათ. მყიდველებს ბეე მუხრანსკისათვის მიუციათ 10 ათასი მანეთი. რუსების წარმომადგენლებს ხოლოდოვს და რეპინს უთხოვნიათ ნასყიდობის ქაღალდის ჩქარა დამტკიცება. მარკოზოვს უთქვამს: „ნედოიმკები“ ყოფილა მამულზე და თ-დს ფული არა აქვსო. ხოლოდოვი და რეპინი ჩამოსულან ტფილისსა და მუხრანსკისთვის კიდევ გადაუციათ 1,400 მანეთი. გარდა ამისა, მარკოზოვს დაუწერინებია კიდევ 3,500 მანეთის თამასუქები. ხოლოდოვსა და რეპინს ასტარიდან მარკოზოვისათვის გამოუგზავნიათ 900 მანათი და თავადისათვის—850 მანათი, ნასყიდობის ქაღალდს მაინც ვერ ჰღირსებიან.

რუსებს მიუმართავთ ტფილისის ერთ რუსის მღვდლისათვის, ისინი წასულან ერთად ბანკში და აქ გამორკვეულა, რომ გაყიდული მამული მუხრანსკისა კი არა, ბანკისა ყოფილა.

მარკოზოვს და კუბერცკის მყიდველებისათვის 1,200 მანეთი დაუბრუნებიათ და ყველაფერი მუხრანსკისათვის გადაუბრალებიათ. თ-დ მუხრანსკის კიდევ ფულად არაფერი დაუბრუნებია და მარკოზოვისა და კუბერცკისათვის დაუბრალებია ყველაფერი.

დაიწყო გამოძიება და ყველანი სასამართლოში მისცეს.

თ-დ მუხრანსკის, კუბერცკისა და მარკოზოვს აბრალებენ: წინასწარ შეთანხმებით და ფულის დასატყუებლად მყიდველები დაგვირწმუნებიათ, რომ ნამდვილად „ცედანი“ მუხრანსკის ეკუთვნისო, დაგვიწერიათ ნასყიდობის ქაღალდი და ბეე 10 ათასი მიგვიღიათ და დაგვიხარჯნიათო.

ბრალსა სდებდა ბრალმდებლის თანაშემწე ლიონსოვსკი, მომჩივანთა წარმომადგენელი იყო ნაფიცი ვექილი ესსენი. მუხრანსკის იცავდა—ნაფიცი ვექილი ვ. რუტკოვსკი, კუბერცკის—გეფშტეინი და მარკოზოვს ნაფ. ვექ. ოვანოვი.

გამოწვეული იყო 14 მოწმე. მხოლოდ ერთი მოწმე დააკლდა.

მარკოზოვმა და კუბერცკიმ განაცხადეს, ჩვენ რა ვიცოდით საქმე როგორი იყო, ჩვენ მხოლოდ შუამავლობა გავწიეთო.

გუშინ, შუადღისას, სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც სამივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო და ღირსების ახდა და თვითეულს წელიწად-ნახევრით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

სამოქალაქო სამართველოს გადაწვა ქ. გორში.

9 ენკენისთვეს ღამის 11 საათზე უცბად წაეკიდა ცეცხლი ტატიშვილის ორსართულიან სახლს, სადაც იმყოფებოდა გორის სამოქალაქო სამართველო. ცეცხლი წაჰკიდებია ქვეითა სართულში ბურბუშელასა და ხის მასალას. არ იციან საიდან გაჩნდა ცეცხლი, რომ შიგ არავინა სცხოვრობს და მთელი დღეები დაკეტილია ეს ბინა. ქვეითა სართულის მეორე მხარეს მცხოვრებლები სრულიად დაზარალდნენ. სახლი ძირიანად დაიწვა. სამოქალაქო სამართველომ გადაარჩინა გადაწვას მთელი ქაღალდები. დაიწვა მხოლოდ ქალაქის მამასახლისის მაგიდა, კანონის წიგნები, საათი და რამდენიმე მაგიდა. გადაარჩინეს აგრეთვე კასაც, რომელშიაც აღმოჩნდა რამოდენიმე ვერცხლის ფული, ერთი ოქროს ხუთ მანეთიანი და სხვა დაფერფლილი ფულის ქაღალდი. ამბობენ აქვე იყო კვიტანციები, რომლითაც გადიხადეს მცხოვრებლებმა ქალაქის განათების ფულიო. თუ ასეა, მაშინ ქალაქს ზარალი ოცი ათასს მანეთს აღემატება. ცეცხლის დროს სარგებლობდნენ ზნეობით ძახინჯი არსებანი, და გარედ გამოტანილ ბარგს იპარავდნენ. ცეცხლი ვერ გააქრეს დილამდის, რადგანაც ცეცხლის-მქრობელი რაზმი და მანქანები აქ არ არის სრულებით. ქალაქის მამასახლისის თანაშემწე ბ. მაჭავარიანი აპირობდა გამოეწერა მანქანები და დაეარსებინა ცეცხლის მქრობელთა თავისუფალი რაზმი, მაგრამ რადგანაც ის სულ ექვსი თვეა მხოლოდ თავისს ადგილზედ, ჯერ ვერ მოასწრო. სახლი სულ ერთი თვეა რაც შეაკეთეს, და მისი შეკეთება სახლის პატრონს დაუჯდა 1200 მანეთზე მეტი. **ნ.**

გრ. რობაქიძის ლექცია

ქალ. გორში.

პარასკევს, 7 სექტემბერს, გორის საზაფხულო საკრებულოს დარბაზში ბ. გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია: „შოთა რუსთაველი“. ლექტორმა ლექცია ორ ნაწილად გაჰყო: პირველს ნაწილში აღსნა, თუ როგორ უცქერის შოთა რუსთაველი სიყვარულს, მისი ესთეტიურ-ფილოსოფიური განხილვა. მისის აზრით შოთა რუსთაველის სიყვარული ელლინურია, ჰომიროსისა და პლატონის მაგვარი. „ვეფხის ტყაოსანი“ მთლად სიყვარულსა და ვნების აღწერას უმღერს, ხოლო მაინც მთელს ნაწარმოებში ეს ვნება არის უმანკო და წმინდა. რუსთაველის სიყვარული სულის ვნებათა ხორცსხმული ლტოლვაა მშვენიერი სხეულის ზეციურ უმანკოებისადმი. ლექტორმა „ვეფხის ტყაოსნის“ მრავალი ადგილი მოიყვანა აზრის დასასაბუთებლად. ბოლოს შეადარა მერეჟკოვსკის „იულიან განდგომილში“ აღწერილი ახალგაზდა იულიანეს აღტაცებული სიყვარული ღმერთ-ქალის აფროდიტეს მარმარილოს ქანდაკებას რომ ხვდება, და გაატარა პარალელი ტარიელისა ნესტანისადმი და იულიანესი აფროდიტეს მარმარილოს ქანდაკებისადმი სიყვარულისა. პირველსავე ნაწილში ლექტორი შეეხო ფ. მახარაძის აზრს, რომ ვეფხის ტყაოსანში აღწერილია მარტო უბრალო სიყვარული და სხვა არაფერიო, და დაჰგმო, როგორც გაუგებრობისა და უვიცობის ნაყოფი.

ლექციის მეორე ნაწილში ლექტორი შეეხო ვეფხის ტყაოსნის ორიგინალობას. მისის აზრით, შეუძლებელია, გენიოსური ნაწარმოები ორიგინალური არ იყოს. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ შექსპირის „ჰამლეტი“, ან გოეტეს „ფაუსტი“ ორიგინალური ნაწარმოები არ არისო?! ასევეა შოთას „ვეფხის ტყაოსანიც“. ვთქვათ, შოთას თუნდაც უსესხნია თავისი ნაწარმოების არაკი, ის მაინც ორიგინალური ნაწარმოებია, რადგანაც ეს არაკი მისთვის იგივე იყო, რაც პრაქსიტელისთვის მარმარილოს ნატეხი. ეს არაკი შოთამ გათქვიფა თავის ნიჭიერებაში, ხოლო მისმა გენიოსობამ ჩამოაყალიბა უკვდავი მშვენიერება.

„ქართველობის სული რუსთაველის გენიით განაგრძობდა სიცოცხლეს, და რუსთაველიც დროთ ტრიალში ცოცხალი რჩებოდა. დღეს კი ბურუსი მოიცავს სასოკვეთილის სულს: შეიძლება რუსთაველი, ისედაც ობოლი, კიდევ უფრო დაობლდეს: მოდიოდეს ვინმე უცხოელი და ნანგრევებში ეძებდეს იმ ღვთიურ სიტყვას, რომლითაც რუსთაველი ველად გაჭრილს ტარიელს უმღეროდა. ნუ იქნებიან ესე: თუ აქამომდე ჩვენ რუსთველი გვაქართველებდა, ამიერიდან ჩვენ ვარუსთაველოთ იგიო“ დაამთავრა ლექტორმა თავისი ლექცია.

„ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ დაწერილს კრიტიკებში ლექტორმა მოიწონა მხოლოდ ბ. ჟორდანიას კრიტიკა.

ლექციას ხალხი საკმაოდ დაესწრო. თუმცა გორში ჩვეულნი არ არიან ამ გვარს რამეს, მაგრამ საინტერესო თემისა და ცნობილი ლექტორის სახელს ხალხი მიეზიდა. ლექციის დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ გამოიხმო ბ. ი. გრიშაშვილი და მადლობა გადაუხადა, რომ ლექტორს ხელი შეუწყო გორში ლექციის წაკითხვაზე. ი. გრიშაშვილმა ხალხისავე თხოვნით მშვენივრად წაიკითხა თავისი ახალი ლექსი: „მარმარილოს ზღვა“. ხალხი აღტაცებით მიეგება ორივეს.

ნამორი.

ტფ. ქალაქის საბჭო

(10 სექტემბრის კრება)

10 სექტემბერს, ზაფხულის შემდეგ, ქალაქის საბჭოს პირველი კრება ჰქონდა. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი.

დაესწრო 50 ხმოსანი. გარეშე ხალხიც ბლომად იყო. განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურენი და მათი „ალები“, რომელნიც მოელოდნენ ახალ სავალდებულო დადგენილებათა შეცვლის საკითხის განხილვას, რაიც უდროობისა გამო შემდეგის კრებისთვის გადაიდო.

განსახილველი იყო 27 საქმე.

საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა ქალაქის მოურავის მოადგილედ ნამყოფ ლეონ კარლის ძის ელიმირზოვისა და ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფის ეგნატე ხრამელაშვილის ხსოვნას და შემდეგ მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგა.

საბჭომ 200 მან. გადასდო იმ წიგნების შესაკვრელად და დასაკაზმავად, რომელიც ნ. ა. ფირალოვმა და პრისელკოვმა პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკას შესწირეს.

საბჭომ მოისმინა შუამდგომლობა კავკასიის მუზეუმის დირექტორისა, რომელიც ქალაქს უფასოდ სთხოვდა მიწას მუზეუმის ახალ შენობის მასალის დასაწყობად და წყლის შენობის ასაგებად. საბჭომ მიწა დაუთმო, ხოლო უფასოდ წყალის მიცემაზე უარი უთხრა.

საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ შტატის გარეშე დარჩენილს 16 მეფარნეს შემწეობა მიეცეს და დაამტკიცა გამგეობისავე მოხსენება სამშობიარო თავშესაფარის აგების შესახებ, სახალხო ჯანმრთელობისა და სატენიკო კომისიის დასკვნით.

მცირე კამათი გამოიწვია წმ. ფლოროსის ჩერნიგორელის ეკლესიის სამზრუნველოს თხოვნამ. ეკლესიას ქალაქისა 1600 მან. მართებია, სამზრუნველო ფულის პატიებას თხოულობდა. საბჭომ 400 მ. აპატია, ხოლო დანარჩენ 1200 მან. გადახდა 5 წლით გაუნაწილა.

საქალაქო სახლის (ველიამინოვის ქუჩა) შესაკეთებლად საბჭომ 2,000 მ. გადასდო.

კამათი გამოიწვია 1913 წლისთვის სატრაქტირო გადასახადის რაოდენობის საკითხმა. გამგეობას 75,000 მ. საკმარისად მიაჩნდა. ზოგიერთმა ხმოსანმა ამ რიცხვის გადიდება მოინდომა. საბჭომ ხმის უმეტესობით სატრაქტირო გადასახადი 80,000 მ. გახადა.

ხელის მოწერით წიგნების გამოცემა.

ძალიან მოუწესრიგებელია ჩვენში ხელის მოწერით წიგნების გამოცემა. ეს საკუთარ გამოცდილებით ვიცი. აი, ეხლაც წავიკითხე განცხადება: „პირველ სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე მიიღება ხელის მოწერა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონზე. გამოცემა მელიასი და. კალანდაძისა, ქ. ბათუმში, ლექსი კონი გამოიცემა ორ ტომად, თითო ტომი დაახლოვებით 900—1000-გვერდამდის, დიდი ფორმატით, კარგს ქაღალდზე, და ეღირება 3 მანეთი-“ო. (გაზ. „დილა“-№ 7-ი) განა ქართველი მკითხველი, უნდა შეფიქრდეს ასეთ კარგ წიგნის ხელის მოწერაზე? მაგრამ... საკუთარი გამოცდილება საგონებელში მაგდებს. რაც კი ხელის მოწერით წიგნები გამოვიდა ყველაზე მოვაწერე ხელი, მაგრამ არ. ჯორჯაძისა და ნ. ჟორდანიას თხზულებათა გარდა არც ერთი გამოცემა არ მიმიღია. არც ალიონისა, არც „კულტურისა“, არც „როსკიპი“ და სხვა. 23 წიგნიდან არც ერთი არ მიმიღია! და განა მარტო მე?.

„ალიონის“ გამომცემელმა მეტეხის სტამბაში დაბეჭდა წიგნი, და იმის მაგიერ, რომ ხელის მომწერლებისთვის დაერიგებინა წიგნები, გაუყიდნია: („ნება და ზნეობა“ გომართელისა, კარლ კაუცკი „მარქსის ეკონომ. მოძღვრება“ და სხვა.

„კულტურის“ ფირმა ხომ უფრო უიმედოა. გამოიცა წიგნი. როგორც ხელის მომწერმა მ-ნ თავართქილაძეს მივმართე, კვიტანცია წარუდგინე. უარი მითხრა: აგენტმა რომ გამომცემლის ფული შესჭამოს, ხელის მომწერელი რა შუაშია? თუ სცნობდა იმ კაცს საეჭვოდ, რად აძლევდა პირველადვე ბარათებს? თუ მისცა და პასუხის მგებელიც უნდა იყოს.

კასრაძის „როსკიპსაც ეს ბედი ეწვია.“

ასეთ მაგალითები შემდეგ ძნელია კაცმა გაბედოს წიგნზე ხელის მოწერა. საჭიროა რომ გამომცემელი მუდამ პასუხის მგებელი იყოს იმის მაგიერ რომ ხელის მომწერთა წინაშე. როგორც თავის მხრივ, ისე აგენტის მაგიერადაც. **სოსო ჩიტოშვილი.**

მოწერილი ამბები

სოფ. საგარეჯო (გარე კახეთი). საგარეჯოში ყოველ ზაფხულში იმართება სახალხო წარმოდგენები. წრეულსაც ორი წარმოდგენა იყო და მესამესაც აპირობდნენ 15 მარიამობისთვის, მთელი წარმოდგენის წმინდა შემოსავალი თეატრის ასაგებად მიდის. წარმოდგენებს ხალხიც საკმარისად ესწრება და შემოსავალიც კარგია. მხოლოდ სცენის მოყვარეების ნაკლებულებაა.

აქ არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა და ამ დღეებში დაარსდება „მომხმარებელი საზოგადოება“.

აქ ცხოვრება ძალიან — ძვირია ვიდრე ქალაქში. ამაზე ერთი მხრივ კახეთის რკინის გზის გაყვანამ იქონია გავლენა და ერთი ორად დააძვირა როგორც სახლის ქირა, ისე ყოველივე სანოვაგე. ორ-სამ ხეირიან ოთახს აქ 30—40 მან. ვერ იშოვნით. პური გირვანქა შაურია და ისიც ისეთი, რომ კაცი ვერ შესჭამს. ხორცი ხომ აღკრძალული ხილია და თუ როდისმე იშოვეთ, ქალაქზე 2—3 კაპეიკით ძვირი და ისიც უვარგისი. კარგი იქნებოდა, რომ ვინმე ქალაქელი ჩამოვიდეს და საყასბოს და თონეს გახსნიდეს. ვაჭრობა უსათუოდ კარგი ექნება და ადგილობრივი მცხოვრებნიც ხელს შეუწყობენ. ეს ხელობა საგარეჯოში გაცილებით მეტი სახეირო იქნება, ვიდრე ქალაქში. მხოლოდ საჭიროა მცოდნე და თანხიანი კაცი.

საგარეჯოს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მილის წყლის გაყვანა და ხევების გამაგრება. ამ საქმეთა საჭიროება ყველას შეგნებული აქვს, მაგრამ ყოველ საქმეში საჭიროა მოთავე და ეს აქ ჯერ ჯერობით არა სჩანს, თუმცა ბევრს ლაპარაკობენ. თუ დროზე არ მიაქციეს ყურადღება, ერთხელაც იქნება, რომ მთელ საგარეჯოს ხევი წაიღებს და მაშინ გვიან-ღა იქნება „თითებზე კბენანი“. იმედია ამას ღირსეულ ყურადღებას მიაქცევენ საგარეჯოს მამები. **პ. ფ.—შვილი.**

სხვა და სხვა ამბავი

თაგიევის განზრახვა.

პეტერბურგის მრეწველებში ხმა გავრცელებულა, ბაქოელმა ცნობილმა მილიონერმა თაგიევმა გადასწყვიტა 4 მილ. 600 ათას მანეთად ღირებული სამანუფაქტურო ქარხანა გაჰყიდოს და ოსმალეთში გადასახლდესო. თაგიევს მოსკოვის კაპიტალისტებისთვის შეუძლევია თავისი ქარხანა, მაგრამ მათ უარი უთქვამთ.

სიკვდილით დასჯა.

კავკავში სამართალში იყვნენ მიცემულნი ჯმალი და ქმალი მისიროვები, რომელთაც ბიძაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ. ერთი 16 წლისაა, მეორე 17, ქმალს დახრჩობა მიუსაჯეს, ჯმალი გაამართლეს.

პატრონების გაფლანგვა.

ტაშკენტში სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე პოდპ. პანაფუტინისა, რომელსაც 40000 პატრონის გაფლანგვა ჰბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო იგი და ოთხის წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა.

ფინლანდიაში

ახალი კანონები ფინლანდიისთვის.

„უტრო როსიის“ გაუგია, რომ იუსტიციის მინისტრს ორი ახალი კანონ-პროექტი შეუმუშავებია ფინლანდიისთვის: 1) ფინლანდიაში მომხდარ სახელმწიფო დანაშაულობის საქმეთა იმპერიის საერთო კანონებისთვის დაქვემდებარების შესახებ და 2) იმ წესის შესახებ, რომელსაც უნდა დაემორჩილოს გამოძიება და სამართალი იმპერიის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებთა გასამართლების დროს ფინლანდიაში.

პირველი პროექტის დედა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ იმპერიის სისხლის სამართლის დებულებანი უმაღლესი მთავრობის წინაამდეგ აჯანყებისა და მეფის გვარეულობის წინაამდეგ მიმართულ დანაშაულისათვის თანაბარად ვრცელდება ფინლანდიაზედაც. ასეთი საქმეები გამოეყოფა ფინლანდიის კანონებსა და სამართალს და საიმპერიო საერთო კანონებს დაექვემდებარება.

ვიბორგის მაგისტრატის წევრთა საქმე.

ვიბორგის ქალაქის თავის ფაგერსტრემისა, რატმანების ლაგერკრანცისა და ჰოლმროტის საქმის გამოძიება დასრულდა. საქმეს პეტერბურგის საოლქო სასამართლოს მესამე განყოფილება გაარჩევს ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლად.

კუტომარსკის ციხის ამბები.

ამ რამდენიმე დღის წინად კუტომარსკის სატუსაღოში ციხის ადმინისტრაციის უღირსად მოპყრობის გამო რამდენიმე ტუსაღმა თავი მოიწამლა. „უტრო როსსიი“ დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბავს: „14 აგვისტოს სატუსაღოში მოვიდა სატუსაღოების მთავარ სამართველოს ინსპექტორი სემენტკოვსკი. მან შემოიარა კამერები და „შენ“-ობით დაუწყო პოლიტიკურებს ლაპარაკი. ტუსაღებმა ხმა არ გასცეს; მაშინ უბრძანა სატუსაღოს უფროსს, რათა მას სისხლის სამართლის დამნაშავეებთან გაეთანასწორებინა იგინი მდგომარეობით. ცალკე კამერაში მყოფმა მოშკინმა და მიხაილოვმა უპასუხეს:

— „შენ“-ობით ლაპარაკის დროს პასუხს არ მოგცემთო. ტუსაღმა ბრილიანტმა უთხრა: თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჯერ ზრდილობა ისწავლეთ და შემდეგ გველაპარაკეთ. სემენტკოვსკიმ უბრძანა ბრილიანის დასჯა. ბორკილიანების ჯგუფში გადაყვანით. სემენტკოვსკის წასვლის შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა, მხოლოდ 17 აგვისტოს ტუსაღების დათვალიერების დროს გაძლიერებული რაზმი მივიდა და უფროსმა პოლიტიკურებს გადასცა, რომ 18 აგვისტოდან იგინი ვალდებული არიან ილოცონ ხოლმე და მისალმების დროს „ზდრავია ჟელაიუ“ სთქვან, რომლის აუსრულებლობისათვის იგინი ცემითაც კი დაისჯებიან. შემდეგ დაუარეს ცალკე საკანებს და უბრძანეს ბრილიანს გამოსვლა. იგი არ დასთანხმდა. მაშინ შეცვივდნენ კამერაში და დაუწყეს მას ცემა. სცემდნენ სახეში, შემდეგ დაავლეს ფეხებში ხელი და გაათრიეს ეზოში. ცალკე საკანებში საშინელი ხმაურობა ასტყდა. რაზმის უფროსი გაიქცა ცალკე სატუსაღოების სადგომიდან და საზარეულოსთან იცდიდა, სანამ იქ მიათრევდნენ ბრილიანს, რომელსაც კვლავ სცემეს. იმ ღამესვე მოშკინმა და მიხაილოვმა საწამლავი დალიეს, მაგრამ უვარგისი ყოფილიყო და დიდად იტანჯებოდნენ, მათ საქციელს დახმარება აღმოუჩინეს. მოშკინმა თავი მოიწამლა, ხოლო მიხაილოვი ჰკუაზე შეირყა. საერთო სატუსაღოში საწამლავი მიიღეს: რიჩკოვმა, ლეიბზონმა, მასლოვმა, ჩერედოვმა, ოდინცოვმა და ბუბნოვმა; საწამლავმა სიკვდილის მაგიერ საშინელი წამება მიაყენა მათ; მაშინ სამმა მათგანმა ვენის ძარღვი გადაჭრა და სისხლად დაიცალნენ. მეორე დღის მოვიდა ციხის უფროსი რაზმით და დაიწყო ჩხრეკა, წაიღეს, რის წაღებაც კი შეიძლებოდა. პუხალსკიმ მათ თვალ-წინ დალია საწამლავი; იგი საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა“. („უ. რ.“)

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოს)

11 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი.

სტამბოლი. შეიჰ-ულ-ისლამმა ვანისა და ბითლისის ყადებს უბრძანა, მაჰმადიანები შეიკავეთ და ქრისტიანების აწიოკებას მოარიდეთო.

პორტამ სახელმწიფოთა წინაშე პროტესტი განაცხადა, ჩერნოგორია მეამბოხე მალისორებს ნუ ეხმარებაო.

გაზეთების სიტყვით (?) გადმოსული კრიტელები ჯარს ებრძვიან.

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ნალაპარაკევი.

სტამბოლი. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან ულაპარაკნია ბალკანეთში დატრიალებულ ამბის გამო. კორესპონდენტს უთქვამს, კოჩანში ბულგართა ხოცვა-ჟლეტის ამბის გამოუკვლევლობა ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებსო. მინისტრს შემდეგი უპასუხნია: გამომძიებელმა კომისიამ უკვე გაათავა გამოძიება და მისი მოხსენების შედეგი კოჩანში სამხედრო წესების შემოღება არისო. გარდა ამისა, სამხედრო სასამართლოს დავალებული აქვს დამნაშავეთა დასჯაო.

კორესპონდენტს უთქვამს, სასამართლოს გამოძიების საიდუმლოდ შენახვის გამო, საქმის ნამდვილი ვითარებისა არა ვიცით რა და ბულგართა გაზეთების აზრი, ნამდვილი დამნაშავენი სამართალში როდი მიუციათო, მართალი უნდა იყვესო. მინისტრს უპასუხნია, მაგ საქმეს უეჭველად სასტიკად გამოვიძიებთო. ჩერნოგორელების თავდასხმათა გამო მინისტრს განუცხადებია, ოსმალეთმა საზღვრები 1910 შეთანხმების მიხედვით განსაზღვრა, დაივიწყა ჩერნოგორელების თავდასხმანი და ამით მშვიდობის მოყვრობა დაამტკიცაო.

ბერანის ქრისტიანების და ჯარის შეტაკება, მინისტრის აზრით, მცხოვრებთა აჯანყებას გამოუწვევია. ბერანის კაიმაკამი, კომიტეტის მომხრე სერბმა ქრისტიანებმა მოჰკლესო. ეხლა მაინც ძველი შიში აღარ არის. ხალხი დარწმუნდა, ალბანელები ძალადობას ერიდებიანო. ყოვლის მხრით დასამშვიდებლად, მთავრობა ბერანის ქრისტიანებს ფულად ეხმარება. მინისტრის აზრით, ერთი რამ არის ეხლა სადავიდარაბო — მალისორების მოძრაობა, რომელიც წაქეზებას გამოუწვევია. სამწუხაროდ ოსმალეთს ისეთი მეზობელი ჰყავს, ვისაც ყოველთვის უთმობდა ოსმალეთი, იგი კი ბოროტებით უპასუხებდა კეთილისათვის. უკულტურო მალისორები ისეთსავე შეღავათს მოითხოვენ, რანაირიც ალბანელთათვის მიგვინიჭებია და როდი იციან, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ყველა პროვინციაში შემოიღოს რეფორმები. ამას რომ გაიგებენ მალისორები, უეჭველია, დამშვიდდებიან. ბალკანეთის სახელმწიფოთა დაახლოვების გამო კორესპონდენტს უთქვამს: თვით ოსმალეთშიაც დაახლოვებულან ბულგარნი, ბერძნები და სერბიელებიო. მინისტრს უპასუხნია, ამისთანა დაახლოვება ჩვენი იმპერიის მიზანიაო. გარდა ამისა, გვსურს რამდენისამე რეფორმის შემოღება ევროპისა და აზიის ოსმალეთშიო.

კორესპონდენტს დაუძნია, ოსმალეთი მინაურ თვითმართველობას რომ შემოიღებდეს, ბერლინის ხელშეკრულებას თითონვე განახორციელებსო. მინისტრი დასთანხმებია, მაგრამ უთქვამს, მაგისათვისაც დრო არის საჭიროო. ოსმალეთს უნდა გვენდობოდნენ, რადგან აღმოსავლეთში ყველაფერი ნელის ნაბიჯით მიდისო.

იტალიასთან მოლაპარაკება სწარმოებს, მაგრამ შედეგს საიდუმლოდ ვინახავთო, ეს კია, აქ ახლო დროებში ზავის ჩამოგდება საეჭვო ო. გაზეთების ცნობები სანდო არ არისო. დაბოლოს მინისტრს უთქვამს, ოსმალეთი ამ ცოტა ხანში გამოიყვანს ჯარს სპარსეთ-ოსმალეთის სადაო ადგილებიდანაო. გამოსალმების დროს მინისტრს სიამოვნება გამოუცხადებია კორესპონდენტისათვის, რუსის გაზეთები ოსმალეთის კაბინეთს კარგად ეპყრობიანო.

საზონოვი ლონდონში.

ლონდონი. „ტაიმსის“ სიტყვით, საზონოვი 9 ენკენისთვეს ოსმალეთის ელჩს სწვევია, საფრანგეთის ელჩთან უსაუბნია და ბულგარეთის დესპანი უნახავს. ოსმალეთის ელჩი და სერბიის რწმუნებულიც სწვევიან საზონოვსა.

საზონოვი და გრეი სადგ. ბალატერში ჩამოვიდნენ და მეფის ავტომობილით ბალმორალს წავიდნენ.

შიმშილი.

ბუდაპეშტი. გაზეთების სიტყვით, მარმაროშის მიდამოს მცხოვრებ მალოროსებში შიმშილობა დაწყებულა მოუსავლობისა და წყალდიდობის გამო.

გალიციის რუსები.

ვენა. „ნეიე-ფრაიე-პრესე“ იუწყება, გალიციის მალოროსებში რუსთა მოყვრობის ქადაგების გაძლიერების გამო ოლქის უფროსმა ლისკოში აკრძალა რუსების ფერის დროშებისა და ნიშნების ტარება.

რუსეთისა და ინგლისის ესკადრა.

პარიზი. რუსეთისა და ინგლისის ესკადრათა ბალტიის ზღვის ევოლიუციათა გამო „ტანი“ ამბობს, ეს ევოლუციები განგებ არის მოხერხებული საზონოვისა და გრეის შეხვედრისა და მშვიდობიანობის უფრო კარგად დაცვის გამო.

რუსეთი

სამრევლო სკოლები.

პეტერბურგი. სინოდს შეუმუშავებია სამრევლო სკოლებში სოფლის მეურნეობის შესავლის კანონპროექტი.

პროფესორის გარდაცვალება.

მოსკოვი. გარდაიცვალა უნივერსიტეტის პროფესორი გოლუბინინი, რომელიც უნივერსიტეტის სატერაპ-კტიკო კლინიკას განაგებდა.

უცხოეთი

ბულგარეთისა და სერბიის შეთანხმება.

ბალკანეთის პოლიტიკური მდგომარეობა ისევ გამოურკვევლობის ხანაში იმყოფება. თუ უცხოეთის გაზეთების ცნობას დავუჯერებთ, ომი ამ ერთი კვირის განმავლობაში აუცილებლად დაიწყება, რადგან მშვიდობიანობის დაცვა ბალკანეთის სახელმწიფოების მთავრობათაგან კი აღარ არის დამოკიდებული, არამედ თვით ხალხისაგან, რომელიც აშკარად და გადაჭრით მოითხოვს თავის მოძმე მაკედონელების დაცვა-განთავისუფლებას ოსმალთა მძიმე უღლისაგან. ბალკანეთის სახელმწიფოთა მთავრობები, პირიქით, ახლა იმის ცდაში არიან, რომ როგორმე მიანელონ ხალხის გულისწყრომა და ომის სურვილი. თანვე, რასაკვირველია, ბეჯითად ემზადებიან შესაძლო შემთხვევისათვის. ბალკანეთზე დღეს აღარავისა სწამს, რომ დროთა ვითარებაში მოწიფული საკითხი—საკითხი ევროპის ოსმალეთში რეფორმების შემოღებისა—ისე ივე უშინაარსო დაპირებით მიჩუმდეს, როგორც ამ ათიოდე წლის წინად. ახლანდელი ოსმალეთი ვერ შესძლებს და არც მოისურვებს მაკედონიაში ისეთი რეფორმების შემოღებას, რომელიც ხელს შეუწყობს მაკედონიის მკვიდრთა დაახლოებას მათ მონათესავე სახელმწიფოებთან. ამიტომ ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები ისეთ ნიადაგს ეძებენ, რომელზედაც შესაძლებელი შეიქნება მათი ინტერესების შეთანხმება და ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო მოქმედების მოწყობა. დეპეშებმა ამბავი მოიტანა, რომ ბულგარეთ-სერბიის შორის ამ მიზნით დაწყებული მოლაპარაკება სასურველად დაბოლოვდა. ამ მოვლენას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ბალკანეთის მომავალი ცხოვრებისათვის. შეთანხმების შემდეგ ბულგარეთი აღარ დაკმაყოფილდება მხოლოდ კომპრომისებით და გადაჭრით დააყენებს მოთხოვნილებებს მაკედონიის განთავისუფლების შესახებ. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ასეთი შეთანხმება ბულგარეთის ლაშქარს სერბიის 250.000 ხიშტს შემატებს, არამედ დიდი მნიშვნელობა შეთანხმებისა მის ზნეობრივ მხარეშია. სერბიასთან თანხმობით მოქმედება ჯერ ერთი რომ გაამხნევებს ბულგარეთის ხალხს, მის მთავრობას და მეორეც ისა, რომ ევროპა აშკარად დაინახავს ბულგარეთის მიერ ასეთი დაჟინებით წამოყენებულ რეფორმათა საჭიროებას. ასეთი შეთანხმება რომ უკვე ფაქტია, ამას თვით დაინტერესებული მხარეებიც არ მალვენ, განსაკუთრებით კი სერბია, რომელმაც ამ დღეებში ბალკანეთის საკითხის გამო მემორანდუმი ჩააბარა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და ნათლად აღნიშნა, თუ როგორ მოიქცევა იგი საკითხის გართულების დროს. გაზეთების სიტყვით, შეთანხმებაში გათვალისწინებულია არა თუ საერთო დიპლომატიური ნაბიჯი და თანხმობითი მოქმედება ომის დროს, არამედ თვით ნადავლის განაწილებაც კი. ამ გვარად სრულიად აღარ ჩანს იმ შუღლის ნასახიც კი, რომელიც გუშინ მტრებად სახავდა ორ მეზობელ სლავიანთა ქვეყანას. მაგრამ საგულისხმოა ვიცოდეთ, თუ როგორი მსხვერპლით იყიდა ბულგარეთმა სერბიის მეგობრობა. შესაძლებელია მან რამე დაუთმო სერბიას ჩრდილო მაკედონიაში იქ, სადაც ეს უკანასკნელი მუდამ ელტვოდა „გავლენის“ მოპოვებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დათმობა პირწმინდად საეგებიოა, მაგრამ იგიც კი საკმაო შეიქნა, რათა სერბთა აღელვებულ საზოგადოებრივ აზრისთვის იმედის მცირე შუქი ჩაესახა და აი იგინიც სიხარულით ეგებებიან ამ ნაბიჯს, ცდილობენ ხელიდან არ წაუვიდესთ მოხერხებული წუთი. სერბიის დიპლომატები ახლა ისეთი კილოთი ელაპარაკებიან ოსმალეთს და დიდ სახელმწიფოების შეთანხმება მით უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რომ საბერძნეთიც დიდი სიმპატიით იცქირება მათკენ და უარს არაა იგიც შეუერთდეს მათს განზრახვას. საქმე ისაა, რომ ალბანელთა მოძრაობამ დიდი საფრთხე გაუჩინა საბერძნეთის საქმეს ეპირსა და სამხრეთ ალბანეთში, სადაც სამი მეოთხედი მცხოვრებლებისა ბერძნობაა. არნაუტელები, რომლებიც ავსტრიის წაქეზებით ცდილობენ ხსენებული ადგილების ალბანიზაციას, მეტად უდიერად ექცევიან მკვიდრთ და ტერორისტულის მოქმედებით შიშის ზარს ჰგვრიან ბერძნებს. საბერძნეთის ელჩს გრიპარისს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრისთვის აშკარად განუცხადებია, რომ ეპირის ალბანეთთან შეერთების განზრახვა ისეთ შედეგს გამოიღებს, რომლის არც გათვალისწინება და არც თავიდან აცილება საბერძნეთის მთავრობას არ შეუძლიაო. ასეთ განცხადებასთან დაკავშირებულია ის ცნობა, რომ საბერძნეთის მთავრობას უმაღლეს სამხედრო თათბირზე დაუდგენია, რამდენიმე ხნით კიდევ დააყოვნოს სათადარიგო ჯარის გაშვება, რომელიც ახლა შეიარაღებულია.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. შაბათს, 8 სექტემბერს სახალხო სახლში ა. მეტრეველმა და ი. ირემაშვილმა გამართეს სალიტერატურო-სამუსიკო დილა. შ. გოგებაშვილმა წაიკითხა ლექცია: „კოოპერაცია და მუნიციპალიზაცია“. ლექსები წაიკითხეს ქუჩიშვილმა და ახოსპირელმა. საზოგადოებამ იგინი რამდენჯერმე ტაშის ცემით და ალტაცებით გამოიწვია.

ი. სალირაშვილმა მშვენივრად დაუკრა თარზე. საზოგადოება მოხიბლა მისმა ტკბილმა და ხელოვნურმა დაკვრამ და ამასაც გაამეორებინეს. ბ-მა ი. ირემაშვილმა და მისმა სამმა ბავშმა ქართულ კაბებით (უფროსი 9 წლისა, შუათანა 6 და უნცროსი 4-ის) იმღერეს „კარგი რამა ხარ ჩემო სამშობლოვ“, „ნეტავი ჩემი სასახლე“, „თებრონე მიდის წყალზედა“. ამ სირინოზთა მხიბლავმა და ნაზმა ხმამ მთელი საზოგადოება წარიტაცა და მოაჯადოვა. ბევრს სიამოვნების ცრემლი მოჰგვარა. დარბაზში დაუსრულებელი ტაშისცემა იყო და ღირსეულადაც. ასეთ მოვლენას დიდი აღმზრდელობითი გავლენა აქვს ხალხის ფსიხოლოგიაზე. ბოლოს მ. კავსაძის ლოტბარობით ქართულმა გუნდმა ქულაჯებით გამოწყობილმა რიხიანად და მწყობრად იმღერეს: „თებრონე“, „შევსვათ წითელი“, „ინდი ფრინდი“, „ნეტავი გოგო“, „ცანგალა“ და სხვა. ცანგალას ტეტიური გლეხური ცეკვა მოჰყვა. დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა. დილას, ავადმყოფობის გამო არ დაესწრო ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ქ-ნი ძნელაძე ო. ლეჟავადა გ. ფირუმიანი.

ნ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ყურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. სახ. № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. სააგარ. მატ. № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. სახ. და საბარგ. მატ. № 109|104 I—II კლ. ვაგ. დილ. 1[illegible] ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. საფ. № 3, დილ. 8 ს. 41 წ. სახ. № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. ნარ. მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 407, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. საფ. № 4, საღ. 11 ს. 15 წ. სახ. № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. ნარ. მე-I' ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. საავ. № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. სახ. № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და სახ. № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. საქონ. და სახ. № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71).

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 2 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის $12^1/_2$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12^1/_2$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩს, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა

კავკასი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახანისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12^1/_2$ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ

ენზელში (პირდაპირი და ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობპთ საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს [illegible] საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**
(წ. 1078.2[illegible])

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

გაილო სასტუმრო
„ლასკუტ“

ბარონის ქ., სახ. ბანკის გვერდით № 14. სრულიად ახლად გადაკეთებული ავეჯეულობა. სისუფთავე და ზრდილობ ანი მოსამსახურე. ოთახები დღიურად და თვიურად. დღე-ღამეში 60 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, თვიურად 10 მ—დან 50 მ—მდე. ოჯახობისათვის მოსახერხებელია. განათება ელექტრონისა. სასტ. „**ფრანციის**“ ყოფ. პატრ. **გეგიაძე.**
(3.671.1)

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

ე. გ. ქიქოძისა
აძლევს მუსიკის (როიალი)
გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
(23.651.7)

უფლებიანი სავაჭრო სკოლა და
საბუღალტრო კურსები
ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა

საკომერციო ცოდნათა გამავრც: საზ. ს.-პეტერბურგის უმაღლეს საკომერციო კურსების პროგრამითა. სწავლა 15 ენკენისთვეს დაიწყება. მიხეილის პროსპ. ს. № 53. (4.662.4)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—22)

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა“	80 კ.
III „	„ნაზრევი“	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	85 კ.

საათის მოყვარულთათვის
არის საათი „ბონერი“.

ვისაც კოხტაობა უყვარს და ჰსურს ჯიბის კარგი საათი ჰქონდეს, ვურჩევთ შეიძინონ ახლად გაუმჯობესებული საათი ლურჯი სევადიანი ფოლადისა მშვენიერ, ფანტაზიურ ყალიბისა, ძალიან თხელი; სისქე თითქმის არ აღემატება ვერცხლის მანეთიანს, მომართვა სჭირდება 40 საათში ერთხელ, ანკერის სისტემისაა, 15 ქვიანი, ლამაზის გარეგანის ისრით (იხ. სურათი). განსაკუთრებით ყურადღების ღირსია საათის სისწორე, რომელიც წუთებით არის გამოანგარიშებული. საათი იმდენად მკვიდრია, რომ ქარხანა 5 წლის გარანტიას იძლევა. ფასი მხოლოდ 3 მ. 50 კ რადგანაც ამ შესანიშნავის საათის გავრცელება მსურს, საათთან ერთად **უფასოდ** ვარიგებ ჯილდოდ 17 სასარგებლო ნივთს: 1. ორ-რიგ ამერიკის ოქროს ჯაჭვს; 2. შანა-სინემატოგრაფს ლამაზ ქალთა სურათებითა; 3. ნატის სასაათე ბუდეს; 4—7. ჯიბის ტყავის ნესესერს ოთხ აუცილებელ ნივთითა; 8. საათის ქურდთაგან უზრუნველმყოფელს; 9. **ახალი ამბავი!** ჯიბის სტერეოსკოპი **პლასტოგრაფი** (იხ. სურ); 10—15. 6 სასტერეოსკოპო მშვენივრად დახატულს სურათს. 16. რამდენიმე ნივთისაგან შემდგარს ნიკელის სამწერლო მოწყობილობას. 17. ახალ მოდის უცხო პორტმანეს, 6 განყოფილებიანს, ძალიან თხელია და ჯიბეში სატარებლად მოხერხებული. მხოლოდ 3 მ 50 კ. ორი ს. საჩუქრებით 6 მ. 50 კაპ. გარნიტური საათითა და უმაღლესი ღირსების ნივთებითა 4 მ. 25 კ. **ორი გარნიტ.** 8 მ. ამისთანავე ქალის გარნიტ. 3 **მან. 95 კ.** უგზავნით უზეოდ ფასდადებით, გაგზავნა 40 კ. ციმბირში **75 კ.**

ადრესი: Т-ва „Аккуратность“, Варш[illegible]а, отд. 116
ადრესი ამოსჭერით და მაგრად დააკარით კონვერტსა ან ღია ბარათზე.
Метцль 44279. (2.1457.3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ქიქ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება სადვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ.	40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ.	30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.120)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскiй просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** გ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოცხიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1393—104 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას,
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.35)

ხელოვნური ყინული
სუფთა მილის წყლიდან დამზადებული იყიდება
ფ. კ. მეტცელის მემკვიდრეთა
ლუდის ქარხანაში, ახალ ნიხრამდე ფუთი ოთხ აბაზად. ვეტცელის ლუდის მუდმივ მუშტრებს შესამჩნევ ფას დაკლებით ეთმობათ.
(5.1489.4).

მივიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.
აგრეთვე მოგვდის ცოცხალი
ლოქო
და კობრი, |საზანი.|
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
(წ.1131.251)

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“